# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ორშაბათი, 1 ივნისი 1998 №81 (616) ფასი 30 თეთრი

თბილისი
ეროვნული
30 მაისი

**საქართველო 1:1 რუსეთი**

**საქართველო:** ტოგონიძე, სილაგაძე, ცხადაძე, გახოკიძე (ა. არველაძე 77), შეყილაძე, ჯანაშია (ჩალაძე 71), ნემსაძე (დიდავა 15), ჯამარაული, კობიაშვილი, ქინქლაძე (ცქიტიშვილი 84), შ. არველაძე
**რუსეთი:** ოვჩინიკოვი, ხლესტოვი, კოვტუნი (ბორზენკოვი 62), ჩუგაინოვი, სემაკი (გორშკოვი 90), ვარლამოვი (რადიმოვი 46), ონოპკო, ალეინიჩევი, ბესჩასტნიხი (ციმბალარი 58), ტიხინოვი (პაგაევი 80), სიმუტენკოვი (ზუბკო 46)
0:1 სიმუტენკოვი (10), 1:1 ჯანაშია (19)
**გაფრთხილება:** ჩუგაინოვი, სიმუტენკოვი, დიდავა, ტოგონიძე, სემაკი, რადიმოვი
**მსაჯი:** ტ. სულეიმანოვი (აზერბაიჯანი)

# საქართველო — რუსეთი: გამარჯვებული უცნობია

ვახტანგ ბზიკაძე

ამ მატჩს დიდხანს ველოდით. რვა წელია ქართული და რუსული ფეხბურთი სხვადასხვა გზას ადგას და პირველად ამ შაბათს მიეცათ ქართველებსაც და რუსებსაც შესაძლებლობა, ერთმანეთისთვის უპირატესობა უმაღლეს, სანაკრებო დონეზე დაემტკიცებინათ. არ გამოვიდა. მატჩი ფრედ მორჩა და წლები რომ გაივლის, დარწმუნებული ვერავინ იტყვის, უპირატესობა ამას და ამას ჰქონდაო. წლების მერე კი არა, ახლაც ძნელი სათქმელია, ვინ ვის სჯობდა, თუმცა ერთი ცხადია, ქართველებს ის აკლდათ, რასაც ვერანაირი პირობა და ფული ჯერჯერობით ვერ შეაძენინებთ. ეს კი, ესოდენ ბანალურობამდე დაყვანილი სიტყვა გამოცდილებაა, რომელიც სხვას, თუ ჩვენზე ახალბედა არ იქნა, ყოველთვის მეტი ექნება. ექნება, მაგრამ ეს სულ არ ნიშნავს, რომ მათ ვერასდროს მოვუგებთ. უბრალოდ, საამისოდ ჩვენც გვჭირდება გარკვეული ცოდნის დაგროვება.

ამ რვა წლის მანძილზე საქართველოს ნაკრებმა ზარმაცი მოსწავლესავით დრო უმოწყალოდ ფლანგა. კი, მართალია, ეროვნულმა გუნდმა ქართველ ხალხს ბედნიერი წუთებიც აჩუქა უელსთან და ბულგარეთთან გამარჯვებით, იტალიელებთან ყაიმით, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო, სინანულის გრძნობა რომ გაექარვებინა. ახლა კი, საქართველოს ნაკრების ხილვის შესაძლებლობა მეორედ რომ მოგვეცა, ამის თქმა შეიძლება, ჩვენი გუნდი დღეს უფრო ბრძოლისუნარიანია, ვიდრე გუშინ იყო, დღეს უფრო სწავლასმოწყურებულია, ვიდრე გუშინ იყო, თუმცა ჯერ ისევ პატარაა და ზრდა, ცოდნა-გამოცდილების შეძენა სჭირდება.

ამ ნაკრებს ეტყობა, რომ მასთან უმუშავიათ, რადგან დიდი ხანია, არავის უნახავს ქინქლაძისა და ჯამარაულის ამდენი „პადკატი". არადა, ამაზე ცხადია ლაპარაკი არც უნდა გვიწევდეს, რადგან უამისოდ ფეხბურთელი იგივეა, რაც მგლების ხროვაში მოხვედრილი მონადირე უიარაღოდ. ასეთ შემთხვევაში კი საშველი ხეზე ასვლა, ფეხბურთი ჩრდილში დგომა თუა, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი, ხსნა.

გუშინწინ ვერცერთ ქართველს დასწამებდით, ბრძოლას თავს არიდებს, ბურთს ემალებაო. არა, მაგრამ მოსაგებად ჩვენებურთა მონდომება საკმარისი არ გამოდგა, რადგან გამარჯვების წყურვილი მაინც აკლდათ.

შაბათს ნაადრევი გოლის გატანის ნაცვლად თავად გავუშვით. კარგია, გათანაბრება რომ მოვახერხეთ. ეს ყბადაღებული პირველი გოლის ფაქტორის არად ჩაგდებას ჰგავს. და მაინც, გაშვებულზე. ყველა გოლი შეცდომის შედეგია — ამაში ახალი არაფერია. კი ბატონო, გააჩნია ვინ, სად და როდის შეცდება, მაგრამ შეცდომათა რაოდენობა რომ ყველა მოგებისმსურველმა გუნდმა მინიმუმამდე უნდა დაიყვანოს, ცხადზე ცხადია. გოლს დამცველსა და მოიერიშეს შორის ტექნიკასა თუ სისწრაფეში, ზოგად ოსტატობაში განსხვავება ქმნის. მაგრამ ყველაზე გაუმართლებელი ისაა, როცა მეტოქე საკუთარი პოზიციური შეცდომის ხარჯზე გაგიტანს.

შაბათს რუსებმა ჩვენსავე ფანდს წამოგვაგეს. ხელოვნური თამაშგარე ქართველთა დაცვამ უნაკლოდ ვერ შეასრულა და სხვას იქნებ ამ შეცდომით ვერც ესარგებლა, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავმა იგორ სიმუტენკოვმა ბოძებული საჩუქარი შეირგო.

რაკი დაცვაზე მიდგა საქმე, მასზე საუბარიც აქვე მოვითავოთ. მსგავსი გაუმართაობა, დაცვის თამაშში ჟამიდანჟამ კვლავაც გამოსჭვიოდა. იქნებ ისიც გვეფიქრა, რომ უკანახაზელთა ჩამორჩენა საყრდენ ნემსაძის ტრავმით იყო გამოწვეული. მისი შეცვლა ხომ მარჯვენა მცველმა შეყილაძემ იკისრა, ფლანგზე კი დებიუტანტი დიდავა გაამწესეს. კი, ბატონო, დიდავას პირველ ტაიმში მღელვარება ეტყობოდა და ცდებოდა, მაგრამ ის უფრო ორთაბრძოლებს აგებდა, თორემ ტიხონოვს პოზიციურად განსწავლულად ეთამაშა და კიდეც დაჩაგრა. შეცდომები კობიაშვილსაც მოსდიოდა, უფრო სწორად, ორ მოიერიშეს ერთად, ცხადია, ვერ უმკლავდებოდა, მაგრამ გამართლება მის უნაკლო თამაშსაც ჰქონდა — გახოკიძე შეტევაში იყო უფრო ეფექტური, თორემ დაცვაში კობიაშვილს ხშირად ვერ ეხმარებოდა. უშეცდომო არც სილაგაძე ყოფილა, მაგრამ მან მაინც არაერთხელ გადაგვარჩინა, ცხადაძე კი ცალკე საუბრის თემაა.

სათქმელი ისიცაა, რომ გუშინწინ დაცვა არატრადიციულად, ერთ ხაზზე, ჯაჭვურად თამაშობდა. ამით რუსთა წინახაზს ჯაჭვ-ბორკილი ვერ დავადეთ და ერთხელ სასწაულ ნახტომში ტოგონიძემ გვიხსნა, მეორედ კი ისვე მსაჯმა დაინდო, თორემ საჯარიმოს გარეთ ხელით თამაშისთვის გაძევებას იმსახურებდა.

და მაინც, დაცვის გუშინწინდელი განლაგება ურიგო არ გახლდათ. თუნდაც იმიტომ, რომ სიახლეა. მსგავსი სქემა საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ ბათუმში მოლდოვასთან თამაშისას გამოიყენა და მერე აღარ დაუხვეწია.

გუშინწინ ცხადაძემაც, ყველაზე მეტჯერ რომ შეცდა პოზიციურად, წინა მატჩებთან შედარებით უკეთ ითამაშა — მან არაერთხელ გადაგვარჩინა, საჰაერო დუელებიც მოიგო. ლიბერო ცხადაძე კი, ბევრჯერ გვინახავს, თამაშს, პრაქტიკასმოკლებული საცოდავად რომ გამოიყურებოდა.

ვლადიმერ გუცაევმა მოახერხა გამოცდილი ცხადაძის საქმის სასიკეთოდ გამოყენება. ობიექტური თვალისთვის მის საშაბათო თამაშში მეტი პოზიტიური იყო, ვიდრე ნეგატიური.

რუსებთან მატჩში უნაკლოდ ვერც ქართველთა ნახევარდაცვა გაისარჯა. შუახაზელებმა თავდამსხმელები საგოლე პასებით ვერ მოამარაგეს. ამის მიზეზი, შესაძლებელია, ისიც იყო, რომ შოთა არველაძე გადაღლილი, ნაკლებმოძრავი იყო, მაგრამ ზაზა ჯანაშიას დატვირთვა რომ მეტად მართებდათ, ფაქტია.

საერთო ჯამში ნახევარდაცვას ურიგოდ არ უთამაშია, მაგრამ ჩანაფიქრის სწრაფად განხორციელებას, თამაშის ტემპის რეგულირებას იშვიათად ახერხებდა. რუსებმა მათთვის სასურველ შედეგს, ფრეს, სწორედ ტემპის დაგდებით მიაღწიეს და ამაში ქართველთა შუახაზმა ხელი ვერ შეუშალა.

ჩვენი ნაკრების ძირითადი ხარვეზიც ესაა, რომ მატჩის სცენარის კარნახი ცალკეულ მომენტებში თუ შეუძლია. ჩვენ ვაკეთებთ იმას, რის საშუალებასაც მეტოქე გვაძლევს, მაგრამ ვერ ვახერხებთ, ვაიძულოთ მეტოქე, იმის გაკეთების საშუალება მოგვცეს, რაც გვსურს.

საკუთარი პირობების კარნახი ჯანაშიამ შეძლო. ზაზა ქართველთა შორის საუკეთესო იყო. მცველთა ფრთაზე გაყვანით და ფლანგური პასის გაჭრით, ჯანაშია რუსებს გვარიან საფრთხეს უქმნიდა, ოღონდ მის პასებზე უფრო ყურადღებით დადარაჯება იყო საჭირო. ერთ ასეთ შემთხვევაში, შოთას ფეხი რომ არ დაცდენოდა, რუსთათვის იქნებ მოგვეგო კიდეც. შოთას გასატანი ერთხელაც, მეორე ტაიმში ჰქონდა, მაგრამ ოვჩინიკოვმა დიდებულად ითამაშა.

ამ მატჩს, დიდხანს რომ ველოდით, ფრედ დასრულება ეწერა. ამას წინასწარმეტყველებდნენ რუსებიც თამაშამდე. აგრემც აუხსნელი დარჩა, რისი დასტური იყო თამაშისას ცაზე გადავლებული ორი ცისარტყელა, ქომაგებს მოგების იმედი რომ ჩაუსახა.

არა, გამარჯვებაზე უარს ვინ იტყოდა, მაგრამ ურიგო არც ფრე იყო. ბოლო ბოლო, ესეც საქმეა, საქართველოს რვა თამაში რომ არ წაუგია. სხვების რა ვთქვათ, მაგრამ საჯილდაო ქვად იტალიასთან ერთად რუსეთიც გამოგვადგა. დასავიწყარი არც მალტის ტურნირია, ქართველთა მიერ მოგებული პირველი ტურნირი.

მთავარია, ნაკრების თამაშს ნელ-ნელა ახალი ხელი ემჩნევა. სასწავლ-საკეთებელი კვლავაც ბევრია, მაგრამ იმას რომ ვერ ვიტყვით, გაკეთებული არაფერიაო, პატარა საქმე არ უნდა იყოს.



ბადრი ქეთილაძის ფოტო

ზაზა ჯანაშიამ ნაკრების ძირითად შემადგენლობაში დებიუტი რუსეთის კარში გატანილი გოლით აღნიშნა



ბადრი ქეთილაძის ფოტო

კაპიტანი გიორგი ნესაძე ტრავმის გამო ნაკრებს ველარაფრით დაეხმარა

# და გაზა?

გუშინ ინგლისი ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გლენ ჰოდლმა დაასახელა იმ 22 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც საფრანგეთში ითამაშებენ. გუნდში იან უოკერის, ფილ ნევილის, ენდი ჰინჩკლიფის, ნიკი ბატისა და დიონ დაბლინის გარდა ვერც ცნობილი პო გასქოინი მოხვდა, რომელმავც ჰოდლის აზრით ვერაფრით აღიდგინა დაკარგული ფორმა. გუნდის საბოლოო შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები — დევიდ სიმენი (არსენალი), ტიმ ფლაუერსი (ბლექბერნი), ნაიჯელ მარტინი (დლიდსი); მცველები — სოლ კემპბელი (ტოტენჰემი), ტონი ადამსი, მარტინ კოენი (არსენალი), რიო ფერდინანდი (ვესჰემი), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა), გარი ნევილი (მანჩესტერი), გრემ ლე სო (ჩელსი); ნახევარმცველები — დარენ არდენტონი (ტოტენჰემი), დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (მანჩესტერი), რობერტ ლი, დევიდ ბეტი (ნიუკასლი), სტივ მაკმანამანი, პოლ ინსი (ლივერპული), პოლ მერსონი (მიდლსბრო); თავდამსხმელები — ალან შირერი (ნიუკასლი), ლეს ფერდინანდი (ტოტენჰემი), ტედი შერინგემი (მანჩესტერი), მაკ ოუენი (ლივერპული).

## ამხანაგური მატჩები

**ბილბაო 1:1 ბრაზილია**
1:0 კარლოს გარსია (19), 1:1 რივალდო (84)

**კამერუნი 2:0 ლუქსემბურგი**
1:0 ომამ ბიიკი (35), 2:0 ჩამი (72)

**მექსიკა 2:1 იაპონია**

**ჩილე 3:2 ტუნისი**
0:1 ტრაბელსი (47), 1:1 სალასი (60), 1:2 სელიმი (67), 2:2 სიერა (85), 3:2 სამორანო(90)

## მატჩის სტენოგრამა

მე-2 წუთი. მოედნის ცენტრში ბურთს ქინქლაძე დაეუფლა, მისკენ ონოპკო დაიძრა, თუმცა გიომ ბურთი ფეხებშუა გაუძვრინა, მაგრამ სუსტ დარტყმას ოვჩინიკოვი ადგილზე დაუხვდა.

მე-4 წუთი. რუსების საჯარიმოს მარჯვენა კუთხიდან ერთ მეტრში ჯარიმა დაინიშნა. კობიაშვილმა ნემსაძეს გაუგორა, ამან გახოკიძეს გაუჩერა, გოგამაც დაარტყა — ოდნავ ააცილა.

მე-10 წუთი. ქართველებმა ხელოვნური თამაშგარის შექმნა მოინდომეს, ამას რუსთა კონტრშეტევაც დაერთო. ვარლამოვმა ცენტრის ხაზთან მოიგდო ბურთი და უსწრაფეს სიმუტენკოვს გაუგდო, ისიც ტოგონიძესთან პირისპირ დარჩა — 0:1.

მე-18 წუთი. გახოკიძის მიერ ჩაჭრილი ბურთი საჯარიმოს ხაზთან ქინქლაძემ შოთა არველაძეს უპასა, ამან ერთი შეხებით ზაზა ჯანაშიას, რომელმაც გაიტანა. ტრიბუნიდან თამაშგარეს წაავგავლა, მაგრამ მსაჯმა დაგვინდო.

მე-20 წუთი. მარჯვენა ფლანგზე ჯანაშიამ კოვტუნი და ჩუგაინოვი პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. იქვე შოთას მიაწოდა, მაგრამ მცველებმა იყოჩაღეს, ჩვენებურს წამით დაასწრეს.

21-ე წუთი. საჯარიმო. ამჯერად გიომ დაარტყა, მაგრამ ოვჩინიკოვმა ივარგა.

22-ე წუთი. კობიაშვილმა მარცხნიდან გახოკიძეს საჯარიმოში ჩაუგდო, გოგამ მკერდით გაისწორა, თუმცა ფეხი ნაადრევად მოიქნია და ბურთი კარს ააცილა.

29-ე წუთი. დიდავას ტიხონოვი გაეპარა, ეს იყო გივის პირველი და უკანასკნელი შეცდომა. რუსმა ფლანგიდან ჩააწოდა, ცხადაძემ და სილაგაძემ ბურთის ტრაექტორია ვერ გაიანგარიშეს, ბურთი გადააფრინდათ და ბესჩასტნიხის თავზე აღმოჩნდა, მაგრამ მისი აულებელი დარტყმა, ნიკა ტოგონიძემ მოიგერია.

34-ე წუთი. მეკარემ კიდევ ერთხელ იხსნა ქართველები, საჯარიმოს გარეთ გამოსულმა ბესჩასტნიხს ფეხით თამაშში აჯობა — ბურთის მოგერიება დაასწრო.

37-ე წუთი. საჯარიმოს შესრულებისას შოთას ფეხი დაუსხლტა, მაგრამ გიოს დაუგორა. მან შეყილაძეს დიდებული პასი გაუჩრა, მაგრამ გელას დარტყმული მცველებს მოხვდა.

38-ე წუთი. ჩვენებმა ისევ ხელოვნური თამაშგერე სცადეს, კვლავ შეცდომით. ალენიჩევი კარისკენ მარტო დაიძრა, გზად ტოგონიძე შემოხვდა, ბურთი თავზე გადაუგდო, რომელსაც ნიკამ ხელები კი წაატანა, მაგრამ რომ არა სილაგაძე, გოლი გარდაუვალი იყო.

54-ე წუთი. შოთა არველაძემ კოვტუნი ჩვეული საფირმო ილეთით ჩამოიტოვა, მეკარის ბაქნის კუთხიდან ძლიერად დარტყმული კი ოვჩინიკოვმა სასაულებრივად აულო. ჩვენების მომენტებიდან ყველაზე რეალური ეს იყო.

55-ე წუთი. საჯარიმოს მარცხენა ხაზთან ჯანაშია წააქციეს, მაგრამ პენალტი არ დანიშნეს.

მე-60 წუთი. რუსებმა კარგი, სრაფი კომბინაცია გაითამაშეს. ციმბალარმა სემაკს მიაწოდა, ამან ალეინიჩევს, მაგრამ ამ უკანასკნელის დარტყმა კარს აცდა.

70-ე წუთი. გახოკიძემ, რომელიც შეტევაში აქტიურობდა, მაგრამ უკან ჩასვლას ხშირად ვერ ასწრებდა, ერთხელაც დაურტყა მეკარეს — ოვჩინიკოვმა კვლავ იმარჯვა.

90-ე წუთი. შეცვლაზე შესული ლევან ცქიტიშვილის უძლიერესად დარტყმული ბურთი რუსთა მეკარე ოვჩინიკოვმა მუშტებით მოიგერია.



შოთამ ჩუგაინოვს კი აჯობა მაგრამ რუსებთან დაპირებული ვერ გაიტანა

## გუცაევი: ფეხბურთელებმა იციან საკუთარი ნაკლი

პრესკონფერენციაზე პირველი სიტყვა სტუმართა თავკაც ბორის იგნატიევს ერგებოდა და ისეც ითხოვა, ვიდრე რამეს მკითხავდეთ, სათქმელი მაქვსო.

— მსურს მადლობა გადავუხადო ვლადიმერ გუცაევს და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომლებმაც საშუალება მოგვცეს, ისევ გვეთამაშა თბილისში, სავსე ტრიბუნების წინ. ასეთი მატჩი შემთხვევითობა კი არა, ტრადიცია უნდა იყოს.

— ეს მატჩი ოთხ დღეში მეორე იყო ჩვენთვის. ფეხბურთელებს დიდი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა ჰქონდათ. არც კლიმატური პირობები გვიწყობდა ხელს, რბილად რომ ვთქვათ, ჩვენთვის თბილი ამინდი იყო — შესვენებისას ფეხბურთელები გამომიტყდნენ, სუნთქვა გვიჭირსო.

— თამაშამდე ბევრი საფიქრალი გვქონდა, ბევრი საკითხის გადაჭრა გვიჭირდა. ჩვენს წინაშე იდგა ამოცანა, რა მოგვეხერხებინა შოთა არველაძისთვის, ჯანაშიასთვის. გუცაევმა არა მარტო კარგ მოთამაშეებს მოუყარა თავი, არამედ კარგი გუნდიც ჰყავს. ეს რევერანსი კი არა, ფაქტის კონსტატაციაა. ამიტომაც დღევანდელი თამაშის შედეგით კმაყოფილი ვართ, აი, თამაშით კი — არა. პირველ ტაიმში უფრო თავდაჯერებულად ვითამაშეთ, მეორე ნახევარში კი დაცვა არ გამოგვივიდა. შეტევაშიც ისეთი ოსტატები არ გვყავს, როგორიც თქვენ.

— თქვენს დაცვაზე ბევრი არაფრის თქმა შემიძლია. განსაკუთრებული ხიფათი ვერ შევუქმენით და ვერც შევაფასებ. ჩვენ კი დაცვაში ბევრი ახალი ფეხბურთელი გვყავს და მათ ჯერ დრო სჭირდებათ.

— დღევანდელი შეხვედრა ამხანაგური იყო, მაგრამ სპორტული. დიდი ხანია, აღარ შევხვედრივართ და საზღვრის გადმოლახვის შემდეგ ყველასგან სითბოს ვგრძნობდით.

სტუმრის წასვლისთანავე კითხვებზე საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ვლადიმერ გუცაევმა გვიპასუხა.

— თავდაცვითი თამაშით მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ. ზოგი ფეხბურთელი ჩვენს მიერ მიჩენილ პოზიციაზე არ ჩამოდიოდა, საკუთარ ადგილს დროზე არ იკავებდა. მაგალითად, შეყილაძის ადგილი ცენტრალური მცველების წინ იყო, ის კი უფრო წინ მიიწევდა, თუმცა ეს შეცდომები მეორე ტაიმში გამოასწორა. ვერც გახოკიძემ და ჯამარაულმა, რომელთაც ფლანგების კონტროლი ევალებოდათ, ითამაშეს დაცვით ვარიანტში უნაკლოდ, ამიტომ იყო, კობიაშვილზე ხშირად ორი-სამი მეტოქე რომ გადიოდა.

— მთავარია, რომ ფეხბურთელებმა იციან თავიანთი სუსტი მხარეები, დღეს ბევრმა ისე არ ითამაშა, როგორც ველით. ბევრი დაიღალა. ბიჭებს სეზონი სხვადასხვა დროს დაუმთავრდათ. ამიტომ იყო, რომ ყველას დროულად შეკრება და ვარჯიშების დაწყება დიდხანს გაჭირდა. ქინქლაძეს ორი კვირა არ უვარჯიშია, მაგრამ დღეს მაინც ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ამ ბიჭს დიდი რეზერვი აქვს და რადგან მისი მდგომარეობა სტაბილური გახდა, გვჯერა, მოუმატებს. ცხადია, „აიაქსში" წვრთნის პროცესი უფრო სერიოზულია, ვიდრე „მანჩესტერ სიტიში".

— დღეს შოთაც გადაღლილი იყო. ვთხოვეთ მორტენ ოლსენს, დროულად გამოეშვა, მაგრამ არ დაიშალა და ჰონკონგში წაიყვანა, არადა, იქ თამაშიც არ ჩაუტარებიათ. რეზერვი შოთასაც აქვს.

— ვერ დაგეთანხმებით, რომ თამაში ნელ ტემპში წარიმართა. ამხანაგური შეხვედრის კვალობაზე ამ მატჩში მეტი ჟინი ჩანდა. ბიჭები გავაფრთხილე, პოლონეთი სხვაა, აქ კი რუსები სულ სხვა განწყობით ჩამოვლენ-მეთქი.

— კარგი იყო, მოგვევგო. ამით ფეხბურთელთა ფსიქოლოგია შეიცვლებოდა.

— ხელოვნულ თამაშგარეებს ჩვენი დავალებით ასრულებდნენ. ტაქტიკურ სქემასაც დავხვეწთ. ჩვენ ხელოვნური თამაშგარეების შესრულებაც უნდა ვიცოდეთ და სხვა სტანდარტული მდგომარეობებისაც. დღეს ჩვენი თხოვნა ბიჭებმა ნახევრად შეასრულეს.

— მსაჯობაზე ლაპარაკი არ მჩვევია. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ბევრი შეცდომა დაუშვეს, ჯანაშიაზე კი ნაღდი პენალტი არ დანიშნეს.

— თემურ ქეცბაიას სიცხე ჰქონდა. ჯანმრთელად რომ ყოფილიყო, ძირითადში ვათამაშებდით, ჯანაშიას კი მეორე ტაიმში მაინც მივცემდით თამაშის შესაძლებლობას.

— საჯარიმო დარტყმებზე ორი დღე ვმუშაობდით. ჩემი აზრით, ან უნდა დააგორო, გააჩერო, დაარტყა და ანაც ქინქლაძესავით ოსტატურად შეასრულო. ჯარიმის დარტყმა მაინც ფეხბურთელის ოსტატობაზეა დამოკიდებული.

— კუთხურის გათამაშებაც მე ვურჩიე. რუსებთან, ნორვეგიელებთან ჩაწოდებას აზრი არ აქვს, რადგან ერთადერთი ცხადაძე გვყავს, მაღალი ბურთის მოგება რომ შეუძლია. გათამაშების შემდეგ ჩაწოდებას კი ის გამართლება აქვს, რომ ამასობაში სიტუაცია იცვლება.

— ნემსაძის ტრავმა ჯერჯერობით სერიოზულია. მუხლის არეში აქვს ტკივილი და 2-3 დღე უნდა იმის დადგენას, ტრავმა რამდენად მძიმეა.

— გუშინ მოსკოვის „ტორპედოს" თავკაცმა ვალენტინ ივანოვმა გვთხოვა, 7 ივნისისთვის დაგეგმილ შეხვედრას ნუ ჩავატარებთო. მწვრთნელად ახალი დანიშნული ვარ და პრობლემები მაქვსო. რას გავაწყობდით.

— 12 აგვისტოს სტუმრად აზერბაიჯანთან და 19-ში უკრაინაში გვაქვს თამაში. მეზობლებს ულეგიონერებოდ შევხვდებით, კიევში კი სერიოზული მატჩი გველის. სჯობს, ძლიერ გუნდთან, გასვლაზე თამაშისას შეამოწმო, როგორი მომზადებული ხარ. და სწორედ მაშინ გამოჩნდება, რაზე უნდა იმუშაო. ვფიქრობ, ეს მატჩები საკმარისია. მიზეზები აღარ უნდა ვეძებოთ, 5 სექტემბრის პირველ შესარჩევ მატჩს ყველანაირად მზად უნდა შევხვდეთ.

— გაუთავებელი ცვლილებების მომხრე არ ვარ. სტაბილური შემადგენლობა უნდა ჩამოვაყალიბოთ.

— ცხადეზე კარგი მცველი თუ გეგულებათ, მითხარით და... უნდა გამოვიყენოთ მისი გამოცდილება, მის გვერდზე უნდა გაიზარდონ ახალგაზრდებიც.

— ჯანაშიას რომ არ ვეძახდით, ეს განზრახ იყო. გვსურდა, გაბრაზებულიყო და მერე მთელი ძალით ეთამაშა. დღეს ბევრი იბრძოლა, გოლიც გაიტანა, ბოლოს კი დაიღალა, მაგრამ ეს არაფერი. ისიც ჩვენი გუნდის წევრია, ისევე, როგორც ყაველაშვილი და ფოცხვერია და მის მიმართ არავითარი პირადი ინტერესი არ გაგვაჩნია.

— ორივე მეკარით კმაყოფილი ვარ. ორივე სერიოზულად ვარჯიშობს. დღეს ტოგონიძე იმიტომ არ დამიყენებია, ტუნისში რომ შეცდა. შანსი ორივეს უნდა მივცეთ, უკეთ რომ დავაკვირდეთ.

— ფოთელ მიხეილ ქობულაძესაც ჯანმრთელობამ უმტყუნა. თუ მწყობრში იქნა, აზერბაიჯანთან გამოვიძახებთ.



ქართველთა კაპიტანი გიორგი ნემსაძე ვარლამოვს ვარდნაში გადაეღობა

*გიორგი ქინქლაძე*

— ძალიან დავიღალე, შეცვლაც ამიტომ ვითხოვე, თვენახევრის უვარჯიშებელი ვიყავი. თამაშით კი ურიგოდ ნამდვილად არ გვითამაშია.

*კახა ცხადაძე*

— კმაყოფილი ვარ. ახალი სტრატეგია გამოჩნდა. დაცვაშიც ოთხი სწორხაზოვანი მცველით ვითამაშეთ. იდეალური ნაკრებისგან შორს ვართ, მაგრამ პოტენცია ჩანს. მცველებმა მნიშვნელოვნად შევუმსუბუქეთ საქმე შუა ხაზის ფეხბურთელებს. დასწრებაზე თამაშიც გვქონდა დავალებული. იქნებ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, მაგრამ მე ჩემსას გეტყვით — ჩვენ უკეთ ვითამაშეთ, მეტოქე დავჯაბნეთ.

*გელა შეყილაძე*

— რუსებს ვაჯობეთ. კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით მეორე ტაიმში — შეცდომები თითქმის არ გვქონდა. გოლი კი პოზიციური შეცდომის შემდეგ გავუშვით.

*ლევან სილაგაძე*

— ძალიან ვღელავდი, პირველ ნაკრებთან შესაგუებლად დრო მჭირდება. თუ შეცდომები მქონდა, ალბათ, ამის ბრალი იყო.

*ნიკა ტოგონიძე*

— საინტერესო თამაში იყო. ფრედ კი დასრულდა შეხვედრა, მაგრამ ჩვენ მეტს ვიმსახურებდით. ოვჩინიკოვმა თავი არ დაზოგა. მცველებზე რა ვთქვა, მეორე ტაიმში ცხადაძემ ოდნავ უკან დაიხია და პრობლემაც მოგვარდა.

*შოთა არველაძე*

— უვარჯიშებლები ვიყავით. ჩემპიონატი თითქმის ყველა ქვეყანაში დამთავრებულია. ჩვენს თამაშზე კი მაინც ამას ვიტყოდი — არა უშავს.

*ლევან კობიაშვილი*

— ნორმალურად ვითამაშეთ. მით უმეტეს, რომ გადაღლილები ვიყავით. ზურგს უკან მძიმე სეზონია. მოგების შანსი კი გვქონდა. მერვე მატჩიც არ წაგვიგია, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. დაცვითი განლაგება კი ჩემთვის, ცოტა არ იყოს შეზღუდვის ტოლფასი იყო — წინ ხშირად ვერ მივდიოდი. თუმცა რა მეთქმის, ყველაფერი ხომ მწვრთნელის გადასაწყვეტია. პრაქტიკა გვაკლია.

*გოგა გახოკიძე*

— ვარჯიშზე სტანდარტულ მდგომარეობებს მე ვასრულებ ხოლმე. დღეს კი არ გაგვიმართლა. არადა, ბევრი კარგი ჯარიმა დაინიშნა.

*ვლადისლავ რადიმოვი*

— მატჩის წინ დარწმუნებული ვიყავი, რომ ფრედ დამთავრდებოდა. თუ გახსოვთ, ანგარიშიც 1:1 ვთქვი. თვითონ მატჩს რაც შეეხება, შეიძლება ითქვას, გადავრჩით, უფრო ზუსტად, თქვენებმა ვერ გამოიყენეს მომენტები. თუმცა, ალეინიჩევმა რომ მეკარეს თავზე გადაუგდო, მაშინ არბიტრს უფრო მკაცრად უნდა დაესაჯა. საერთო ჯამში უკმაყოფილო ვარ მსაჯობით, ჯანაშიამაც თამაშგარედან გაიტანა. პოლონეთთან შედარებით გაცილებით კარგად ვითამაშეთ. ქართველთაგან ყველაზე მეტად ჯანაშია აქტიურობდა და ინგლისში რომ თამაშობს (ქინქლაძე) ის მომეწონა, მაგრამ სიმართლე თუ გაინტერესებთ, რუსეთის ნაკრები დღეს ძლიერია თქვენს ნაკრებზე.

*სემაკი*

საშინელი მსაჯობა იყო. გოლი თამაშგარედან გაგვიტანეს, მეკარე არ გააგდეს, მეტი რაღა უნდა ექნა.

— მსაჯის უკმაყოფილოები ჩვენც ვართ. თუნდაც ის მომენტი ავიღოთ, ჯანაშია რომ წააქციეს საჯარიმოში.

— არაფერი არ ყოფილა. მეორე ტაიმის ბოლოსკენაც წაიქცა ვიღაც, ასეთ რამეებზე პენალტს არ ნიშნავენ.

*ვიქტორ ონოპკო*

— მგონი, საინტერესო თამაში გამოგვივიდა. არ მეგონა, მეგონა სტადიონზე საშინელება მოხდებოდა. საკმაოდ კარგი ნაკრები გყავთ. ამას რომ ვამბობ, ცალკეულ ფეხბურთელებს ვგულისხმობ. თვითონ გუნდს ჯერ კიდევ აკლია. ისე, რომ გითხრათ, ჩვენ ვარსკვლავებს ვწყვეტთო, არც ეგრეა საქმე, მაგრამ პოლონეთთან მატჩს თუ შევადარებთ, უკეთესად გამოვიყურებოდით.

— თქვენმა თანაგუნდელებმა მსაჯის მიმართ უკმაყოფილება გამოთქვეს. თქვენ რას იტყვით ამის შესახებ?

— საერთოდ მსაჯობაზე არ მიყვარს არც კარგის თქმა და არც ცუდის. თუ ფეხბურთელი კარგად თამაშობს, მაინც მოახერხებს რაღაცის გაკეთებას, თუ არადა... ისე კი ჯობდა, უკეთესი ყოფილიყო. ვერ ვიტყვი, რომ მხოლოდ ჩვენს სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ცდებოდა. თავისი შეცდომებით ორივე მხარე თანაბრად აზარალა. თუმცა, ანგარიში მაინც ლოგიკურია.

*იგორ სიმუტენკოვი*

— ალბათ, მაყურებელს მოეწონა თამაში. გოლს კი ბევრი ფილოსოფია არ სჭირდებოდა, კონტრშეტევაზე დაგიჭირეთ. ისე, კარგი გუნდი გყავთ, გამიკვირდება, თქვენი შესარჩევი ჯგუფიდან ევროპაზე თუ ვერ მოხვდით.

*ანდრეი ტიხონოვი*

— არ თქვათ, თამაში არასანახაობრივი იყოო. ვფიქრობ, დაძაბულობა იგრძნობოდა, თუმცა ზღვარს არავინ გადასულა. არც უხეშობა იყო და ფეხბურთელებიც კეთილგანწყობილი ვიყავით ერთმანეთის მიმართ. მე სამიანზე ვითამაშე, ქართველმა მცველებმა მაჯობეს, მეორეში ძალიან დავიღალე, ალბათ, სიცხის ბრალიც იყო. ანგარიში კანონზომიერია, თქვენებიდან შოთა არველაძეს და ქინქლაძეს გამოვყოფდი.

**კობა ინასარიძე**
**პაატა თოთაძე**

გორი
ცენტრალური
30 მაისი

**საქართველო 2:1 რუსეთი**

**ახალგაზრდული გუნდები**

**საქართველო:** სოლოლაშვილი, რევაზიშვილი, ჭანკოტაძე, ლომიძე, მუჯირი (მონასელიძე 83), შენგელია (ჩხეტიანი 67), კვარაცხელია (დავითნიძე 55), ალექსიძე (დარასელია 60), გემეზაშვილი, აშვეთია (მეგრელაძე 80), იაშვილი (ჯაკობია 88)
**რუსეთი:** მიშჩუკი (ვლადიმიროვი 46), პოვაროვი, გუროვი, გურჩენკო, სედუნოვი, პერვუშინი, კოლოტილკო (სმირნოვი 46), კულიჩენკო, სემშოვი (კირიჩენკო 67), ფიშმანი (მატიოლა 86), საველიევი
1:0 მუჯირი (35), 2:0 იაშვილი (44), 2:1 კულიჩენკო (59)
**გაფრთხილება:** პერვუშინი, პოვაროვი
**მსაჯები:** მ. მალალურაძე, მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი)

მამუკა კვანტალიანი გორიდან

# გორში რუსეთი წაიქცა

რუსთა ახალგაზრდული ნაკრები ბოლო ორ წელიწადში მეორედ ეწვია საქართველოს და ამჯერადაც შინ დამარცხებული გაბრუნდა. ახლა არა·აქვს მნიშვნელობა, მატჩს ქართველი არბიტრები რომ სჯიდნენ, რომელთაც ჩვენი გუნდისამი სიმპატიები ვერ დაფარეს. არც იმას, რუსებს საკადრისად მომზადებულები რომ ვერ დავხვდით და გამარჯვება უფრო რიხით ვერ დავაგუგუნეთ. მთავარია, მოწინააღმდეგის გუნდს ვძლიეთ. გორში რუსეთი წაიქცა და ჩვენს ახალგაზრდებს გამარჯვებულის ფსიქოლოგია ჩამოუყალიბდათ, რაც სამომავლოდ სასიკეთოდ წაადგებათ.

გიგლა იმნაძის გუნდმა პირველი სერიოზული მატჩი ითამაშა. მწვრთნელებმა არაერთი ფეხბურთელი გამოსცადეს. ყველა არა, მაგრამ ბევრი საქმეშიც ნახეს. ამ თამაშმა ჩვენი ხარვეზები კარგად გამოაჩინა. სამუშაო ცოტა როდია, დროც საკმარისი. თუ შეცდომები დროზე არ გავითვალისწინეთ, ასეთი თამაშით ბერძნებთან და ნორვეგიელებთან ნამდვილად გაგვიჭირდება.

იმნაძეს პრობლემები არ გამოლევია. ძირთადი მიზეზი ტრავმები გახლდათ. წერეთელი საერთოდ ვერ ჩამოვიდა თბილისში. მამუკას ტვინის შერყევა მიუღია და კარგა ხნის უვარჯიშებელიც ყოფილა. შეკრებაზე დაგვიზარალდნენ აშვეთია, ალექსიძე და მეკარე ხმელიძე. ისინი ბოლო ვარჯიშში არც მონაწილეობდნენ. თამაშამდე ორი დღით ადრე გამოვიდნენ მწყობრიდან კაიდარაშვილი და ჩიტაია.

პრობლემა გორისკენ ამგზავრებულებსაც არ მოკლებიათ. დილმის ბაზიდან გამოსულ ავტობუსს ნატახტართან საბურავი გაუსკდა და ნაკრებმა გზაში კარგა ხანს იყურყუტა. არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, მსგავსი ფაქტები ხშირია.

ახლა უშუალოდ თამაშზე ვთქვათ. პირველ ტაიმში უფრო სოლიდურად ვიდექით. რუსებს ყველანაირად ვჯობდით და გულიც საგულეს გვქონდა. მართალია, მაშინაც იგრძნობოდა დაცვის არეული, შეუთანხმებელი მოქმედება, მაგრამ თუ საველიევის თამაშგარედან გატანილ გოლს არ ჩავთვლით, მათ მოქმედებას დამაკმაყოფილებელი ეთქმოდა. მეორე ტაიმში კი ჩვენი უკანახაზელების თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ გაუძლებს. ეს განსაკუთრებით ცენტრალურ მცველებს ეხებათ და იმათ, ვისაც მარცხენა ფრთის კონტროლი ევალებოდათ. მეორე ნახევარში გამოჩენილი სმირნოვი ვერ გავაჩერეთ, რომელიც მარცხენა ფრთიდან წეწავდა ჩვენს დაცვას და არაერთი ხიფათიც შეგვიქმნა.

ნახევარდაცვის ცენტრში საქმე დიდებულად აგვეწყო. საყრდენი კვარაცხელია ბევრს და სარგებლიანად შრომობდა. არავითარი შიში. 55-ე წუთამდე გაუვალი გახლდათ. ყველა ბურთზე თავდადებით იბრძოდა. მისი ძალა მაშინ უფრო ვიგრძენით, როცა ტრავმირებული მწვრთნელებმა გამოცვალეს და საკუთარი ნახევრიდან ბურთის ამოტანა გაჭირდა. სწორედ კვარაცხელიას გასვლის შემდეგ მოიპოვეს რუსებმა უპირატესობა.

გორში მუჯირი შეუდარებელი გახლდათ. მუმუმ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ეროვნულ ჩემპიონატში საუკეთესოს სახელი კანონიერად მიენიჭა. რუსებმა ჩვენს დირიჟორს ვერაფერი მოუხერხეს, ხოლო 35-ე წუთზე მუმუს საფირმო, ყუმბარისებურმა დარტყმამ მიზანს უწია. მიშჩუკი ადგილზე გახევდა, ბურთი რომ ბადეში იხილა, მერელა გაწვა ზურგზე გამწარებული.

რაც შეეხება ფლანგელ ნახევარმცველებს, მათ მეტი შეუპოვრობისა და სიმწვავისკენ მოვუწოდებდით. თუ ამას მოახერხებენ, მათი შეჩერება მეტად გაჭირდება. გუშინწინ პირველ ტაიმში ალექსიძე ურიგოდ არ ირჯებოდა, მეორეში კი დაცხრა.

თავდასხმაში საუკეთესო დუეტი გვყავდა. იაშვილი და აშვეთია დიდი ხნის პარტნიორები არიან, შეწყობილად თამაშობენ, ოღონდ ეგ არის, გორში რატომღაც ხშირად იწევდნენ მინდვრის შუაგულისკენ და შეტევებს მოედნის სიღრმიდან იწყებდნენ. ეს კი ჩვენებურთა იერიშებს სიმწვავეს აკლებდა.

როგორც კი იაშვილი და აშვეთია რუსების კართან დაიწყებდნენ ტრიალს, მოწინააღმდეგის რიგებში მაშინვე ალიაქოთი იწყებოდა. აკი დაამტკიცა კიდეც იაშკამ, დასწრებაზე თამაში და გოლის გატანა სხვაზე ნაკლებად რომ არ ძალუძს. ეს მაშინ იყო, როცა ტაიმის ბოლოსწინა წუთზე მუჯირმა მარჯვნიდან ჯარიმა ოსტატურად ჩააწოდა. იაშკა გაცილებით ათლეტურ მცველებს დაუსხლტა და მისმა ზუსტმა თავურმა მიშჩუკი მეორედ გაახევა.

განსაკუთრებული ქების ღირსია ახალგაზრდული ნაკრების მეკარე რამაზ სოლოლაშვილი, რადგან ხელნატკენმა ითამაშა კარგად, ითამაშა ჯიგრით და არაერთხელ გადაგვარჩინა სახიფათო დარტყმებისგან. აკი საუკეთესო გორელი ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზიც დაისაკუთრა, მაგრამ პირდაპირ, გულახდილად ერთიც რომ არ ვთქვათ, არ იქნება — დროა, შუმახერამ მთელი პასუხისმგებლობით გაისიგრძეგანოს ის ფაქტი, რომ ნაკრების კარს იცავს და მთელი 90 წუთის განმავლობაში მართებს მობილიზება. მერე რა, 2:0-ს რომ ვიგებთ. მეკარემ ყურადღება არ უნდა მოადუნო. ფეხბურთში ყველაფერი ხდება და შენს უკან კი მხოლოდ ბადეა. დარწმუნებული ვარ, სოლოლაშვილი რომ არ მოდუნებულიყო, არც კულიჩენკოს დარტყმულს გაუშვებდა, თუმცა გამოცდილება წლებს მოაქვს და გორელი შუმახერაც უფრო დადინჯდება. იმედია ორი-სამი წლის შემდეგ მისი თამაში უფრო დამაჯერებელი და სოლიდური იქნება.

რაც შეეხება შეცვლაზე შემოსულთ, უპერსპექტივობა არც მათთვის შეგვიმჩნევია. უბრალოდ, ზოგ მათგანს საუკეთესო თვისებების გამოსავლენად დრო არ ეყო, თუმცა მონდომება არ დაუკლიათ. ზოგიც თამაშში ჩვეულად ვერ ჩაერთო. ეს, ალბათ, ფსიქოლოგიური მომენტის ბრალიცაა.

და რუსები. არც ისეა საქმე, პოხომოვი რომ ტრაბახობდა, მეტად ძლიერი და შეთამაშებული ნაკრები გვყავს, მოგება ძლიერ გაგიჭირდებათო. სიძლიერის რაღა მოგახსენოთ, მაგრამ მათ ჰყავთ სოლიდური მეკარე ვლადიმიროვი, რომელიც თამაშში მეორე ნახევარში ჩაერთო და მუჯირს, იაშვილს და აშვეთიას ისეთი ბურთები აუღო, მაღალი კლასის გოლკიპერს შეშურდებოდა. მათ ჰყავთ ნახევარმცველი ფიშმანი. სტუმართა მეათე ნომერი აშკარად საზრიანი ბიჭია, ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობს და პასიც შესანიშნავად გამოსდის.

დანარჩენები კი ღმერთს მაინცდამაინც არ დაუსაჩუქრებია. საჩუქარში საფეხბურთო ნიჭიერება იგულისხმება, თორემ სიმაღლე და ათლეტურობა უხვად უბოძებია. ამათ განსაკუთრებული არაფერი უკეთებიათ. თამაშობდნენ ტიპურ რუსულ ფეხბურთს. ცდილობდნენ, ის ეკეთებინათ, რაც მწვრთნელმა დაავალა. არავითარი იმპროვიზაციის უნარი, არავითარი აზროვნება.

ბოლოს ისევ ჩვენი ახალგაზრდების გასაგონად ვიტყოდით — თუ საბოლოო წარმატებაზე ვფიქრობთ, მაშინ აუცილებლად სისწრაფე-გამძლეობაზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ყველაფერი ერთი ტაქტით ჩქარა უნდა სრულდებოდეს და თამაშის ბოლო ოც წუთში ტემპის გაორმაგებაც უნდა შეგვეძლოს. გაძლებაზე თამაში სიკეთეს არ მოგვიტანს.

გორში ქართველებმა იძალეს. ქართულმა საფეხბურთო ნიჭმა რუსული დაამარცხა. გორში რუსეთი წაიქცა და, იმედია, სხვებიც [illegible] ფერხთით დაემხობიან.



ბადრი [illegible] ფოტო

დავით მუჯირმა (№5) ქართველთა გამარჯვებას დიდებული გოლით დაუდო სათავე

**ფეხბურთის რუკასთან**



**შვეიცარიის** ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჟილბერ გრესმა იმ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, რომლებიც 6 ივნისს, ბაზელში ამხანაგურ მატჩს გამართავენ იუგოსლავიის ნაკრებთან. შემადგენლობაში კვლავ ვერ მოხვდა „გრასჰოპერის“ ბომბარდირი კუბილაი თურქილმაზი, რომელსაც გრესის გუნდის სათავეში მისვლის, ანუ იანვრის შემდეგ ნაკრებში აღარ უთამაშია. არის ერთი დებიუტანტი — „სიონის“ ნახევარმცველი ფაბიო კელესტინი. გაგაცნობთ შვეიცარიის ნაკრების შემადგენლობას: მეკარეები — მარტინ ბრუნერი (ლოზანა), პასკალ ცუბერბულერი (გრასჰოპერი). მცველები — სებასტიან ფურნიე (სერვეტი), ბერნ ჰაასი (გრასჰოპერი), სტეფან ჰენჩოსი (ბლექბერნ როვერსი), სებასტიან ჟანერე (ქსამაქსი), იოჰან ფოგელი (გრასჰოპერი), რამონ ვეგა (ტოტენჰემ ჰოთსფური), მარკო ცვისიგი (სენტ გალენი). ნახევარმცველები — ფაბიო კელესტინი (სიონი), მურატ იაკინი (შტუტგარტი), ფრედერიკ ჩასო (სიონი), ალექსანდრ კომიზეტი (გრასჰოპერი), პატრიკ მიულერი (სერვეტი), ადრიან კუნცი (ვერდერი). თავდამსხმელები — სტეფან შაპუიზა (ბორუსია), დავიდ სესა (სერვეტი), პატრიკ დე ნაპოლი (არაუ), იოჰან ლონფატი (სიონი).

**ესპანური** კლუბის, „ვალენსიას“ წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ 800 მილიონ პესეტად (5,3 მლნ დოლარი) შეიძინეს რუმინელი ლეგიონერი გაბრიელ პოპესკუ. რუმინეთის სამსოფლიოჩემპიონატო ნაკრებში მოხვედრილმა ნახევარმცველმა თავის ახალ კლუბთან ხუთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ესპანეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ პოპესკუ მეხუთე ფეხბურთელია, რომელიც „ვალენსიას“ მთავარმა მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ გადაიბირა. აქამდე იტალიელმა სპეციალისტმა მადრიდის „რეალის“ მეკარე სანტიაგო კანისარესი, „პარი სენ ჟერმენის“ მცველი ალან როში და „ატალანტას“ ფორვარდი კრისტიან ლუკარელი შეიძინა და სულ ახლახან კი — „ალავესის“ მცველი ოსკარ ტელესი. კლუბში მომხდარმა ცვლილებებმა საკმაოდ დაძაბა ურთიერთობა რანიერისა და არგენტინელი არიელ ორტეგას შორის, მაგრამ როგორც ამ უკანასკნელის აგენტმა ანტონიო კალიენდომ თქვა, ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის, ორტეგამ მთელი ყურადღება მსოფლიოს ჩემპიონატს უნდა დაუთმოს.

**ბრაზილიის** ნაკრებმა რომელიც უკვე საფრანგეთში იმყოფება და მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გამალებულად ემზადება, ამხანაგურ შეხვედრაში პარიზული მოყვარულთა კლუბი „რასინგი“ 1:0 დაამარცხა. მატჩის ერთადერთი გოლი 50-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი დარტყმით ოცდაერთი წლის რონალდომ გაიტანა, რომელსაც მთელი თამაშის განმავლობაში ორი, ხანდახან სამი მცველიც კი აჩრდილივით თან დაჰყვებოდა და გასაქანს არ აძლევდა. იმავე დღეს ბრაზილიელთა სათადარიგო მოთამაშეები კიდევ ერთ დედაქალაქურ გუნდს „ლეს ლილასს“ შეხვდნენ. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებს შემდეგი ამხანაგური მატჩი 3 ივნისისთვის აქვთ დაგეგმილი. ამ დღეს ისინი ანდორის ნაკრებს შეხვდებიან.

**გერმანიაში** გამართულ ამხანაგურ შეხვედრაში სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა ფრედ 1:1 ითამაშა მეორე დივიზიონის „შტუტგარტ კიკერსთან“. გოლები გაიტანეს ლუკას რადებემ 29-ე წუთზე და ტომისლავ მარიჩმა 68-ეზე. სამხრეთაფრიკელები ასეთი შემადგენლობით დაუპირისპირდნენ მეტოქეს: ბრაიან ბალუი, ტემბა მნგუნი, დევიდ ნიატი (დანიელ მუდაუ), ლუკას რადებე, პიერ ისა (ვილემ ჯეკსონი), სელო მაჰლანგუ (ლებოგანგ მორულა), ჰელმან მკალელე (დელრონ ბაკლი), კუინტონ ფორტუნი, დოკორ ხუმალო (ნოთი მოკოენა), შაუნ ბარტლეტი (ალფრედ ფირი), ჯერი სიხოსანა (ბენედიქტ მაკართი).

**ესპანეთის** ნაკრებისა და „ვალენსიას“ მეკარე ანდონი სუბისარეტას საინტერესო წინადადებით მიმართეს. მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ვეტერან ფეხბურთელს შეუძლია, ეროვნულ გუნდში მთავარი მწვრთნელის ხავიერ კლემენტეს თანაშემწედ იმუშაოს. „სუბისარეტა ესპანური ფეხბურთის ისტორიაში გამორჩეული ფიგურაა და თუ მოისურვებს, დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებ მასთან“ — განაცხადა კლემენტემ. 36 წლის მეკარემ, რომელმაც ესპანეთის ნაკრებში 123 მატჩი ჩაატარა, რამდენიმე კვირის წინ მისი კარიერის დასრულების თაობაზე საგანგებო პრესკონფერენციაც კი მოაწყო, სადაც ჟურნალისტებს აუწყა, რომ ფეხბურთს, ალბათ, საფრანგეთში გამართული ბატალიების შემდეგ დაემშვიდობება. ისე, საგულისხმოა, რომ კლემენტეც და სუბისარეტაც ბასკები არიან და ერთმანეთთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ. მთავარი მწვრთნელი სწორედ გამოცდილ მეკარესთან ერთად არჩევს ნაკრებისთვის ტაქტიკურ მონახაზებს და არცთუ იშვიათად სასელექციო საკითხების გადაწყვეტასაც მას ანდობს.

**იტალიური** „რომას“ და არგენტინული „ველეს სარსფილდის“ ყოფილი მთავარი მწვრთნელი კარლოს ბიანკი სამხრეთ ამერიკის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ კლუბს, „ბოკა ხუნიორსს“ ჩაუდგება სათავეში. ამ ინფორმაციამ გაფანტა ჭორები იმის თაობაზე, თითქოსდა „ბოკა ხუნიორსის“ მწვრთნელად არგენტინის ნაკრების ახლანდელ თავკაცს დანიელ პასარელას უნდა ემუშავა. ადგილობრივი პრესის ცნობით, კლუბში ორი ახალწვეული იქნება — პარაგვაის ნაკრების მეკარე და კაპიტანი ხოსე ლუის ჩილავერი და „პარმას“ არგენტინელი ნახევარმცველი რობერტო სენსინი, მაგრამ ბიანკის თქმით, იგი ჯერჯერობით არანაირ ცვლილებებს არ მოახდენს. კარლოს ბიანკი, რომლის ხელმძღვანელობითაც „ველესმა“ ექვსჯერ იმარჯვა არგენტინის ჩემპიონატში, ფეხბურთელებთან ცუდი ურთიერთობებით განთქმული ექტორ ვეირას 1 ივლისს შეცვლის. კონტრაქტი 18-თვიანია.

## ალბანეთი

34-ე ბეშა — ტომორი 2:1, ლაჩი — აპოლონია 4:0, პარტიზანი — ბილიში 3:1, ტეუტა — სკენდერბუ 1:1, სოპოტი — შკუმბინი 5:6, ვლაჟნია — დინამო 1:1, ელბასანი — ფლამურტარი 1:0, ლუშნია — ტირანა 1:0, შკიპონია — ალბპეტროლი 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაჟნია | 34 | 22 | 6 | 6 | 42:24 | 72 |
| ტირანა | 34 | 19 | 8 | 7 | 54:19 | 65 |
| პარტიზანი | 34 | 20 | 4 | 10 | 62:27 | 64 |
| შკუმბინი | 34 | 17 | 3 | 14 | 56:49 | 54 |
| ტეუტა | 34 | 17 | 3 | 14 | 39:38 | 54 |
| ელბასანი | 34 | 16 | 4 | 14 | 48:31 | 52 |
| აპოლონია | 34 | 15 | 7 | 12 | 38:34 | 52 |
| ლაჩი | 34 | 15 | 3 | 16 | 47:48 | 48 |
| ლუშნია | 34 | 14 | 5 | 15 | 54:28 | 47 |
| ტომორი | 34 | 15 | 2 | 17 | 36:45 | 47 |
| სკენდერბუ | 34 | 3 | 7 | 14 | 40:50 | 46 |
| დინამო | 34 | 12 | 9 | 13 | 42:36 | 45 |
| ბილიში | 34 | 13 | 6 | 15 | 41:39 | 45 |
| ბეშა | 34 | 13 | 5 | 16 | 45:47 | 44 |
| ფლამურტარი | 34 | 12 | 7 | 15 | 37:41 | 43 |
| შკიპონია | 34 | 12 | 4 | 18 | 34:55 | 40 |
| სოპოტი | 34 | 10 | 5 | 13 | 39:64 | 35 |
| ალბპეტროლი | 34 | 5 | 4 | 25 | 24:93 | 19 |

## იტალია

სერია B

36-ე ტური. კალიარი — ვენეცია 1:1; ფ. ანრია — რეჯანა 1:1; ფოჯა — რავენა 2:2; ჯენოა — დი სანგრო 2:1; მონცა — ანკონა 3:3; პესკარა — პერუჯა 1:2; რეჯინა — სალერნიტანა 1:0; ტორინო — კიევო 1:1; ტრევიზო — პადოვა 3:2; ვერონა — ლუკეზე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 36 | 18 | 14 | 4 | 60:28 | 68 |
| კალიარი | 36 | 15 | 17 | 4 | 50:30 | 62 |
| ვენეცია | 36 | 17 | 11 | 8 | 49:29 | 62 |
| ტორინო | 36 | 16 | 11 | 9 | 47:38 | 59 |
| პერუჯა | 36 | 14 | 14 | 8 | 42:36 | 56 |
| რეჯინა | 36 | 13 | 13 | 10 | 35:37 | 52 |
| რეჯანა | 36 | 13 | 11 | 12 | 36:31 | 50 |
| ტრევიზო | 36 | 11 | 15 | 10 | 40:40 | 48 |
| ჯენოა | 36 | 13 | 9 | 14 | 49:50 | 48 |
| კიევო | 36 | 12 | 12 | 12 | 39:42 | 48 |
| ვერონა | 36 | 13 | 8 | 15 | 45:36 | 47 |
| ფ.ანრია | 36 | 11 | 13 | 12 | 39:40 | 46 |
| პესკარა | 36 | 11 | 10 | 15 | 37:46 | 43 |
| ლუკეზე | 36 | 11 | 10 | 15 | 35:46 | 43 |
| რავენა | 36 | 10 | 12 | 14 | 36:39 | 42 |
| მონცა | 36 | 8 | 17 | 11 | 46:54 | 41 |
| ფოჯა | 36 | 9 | 13 | 14 | 44:50 | 40 |
| ანკონა | 36 | 7 | 15 | 14 | 43:58 | 36 |
| პადოვა | 36 | 7 | 12 | 17 | 27:47 | 33 |
| დი სანგრო | 36 | 5 | 15 | 16 | 36:58 | 30 |

## 21 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატი. ფინალი

**ესპანეთი 1:0 საბერძნეთი**

ესპანეთი: არნაუ, კალვო, ლოპეს რეკარტე, გერერო, იტო, როჯერი (გუტი 68), ვალიესი, ფილიპე, ვალერონი (ვიქტორი 83), ბენჯამინი (ანგულო 73), ივან პერესი
საბერძნეთი: ელეფტეროპულოსი, პ. კონსტანტინიდისი, გრუმასი, ანცასი, დელასი (ბასინასი 77), კარაგუნისი (ალექსოპულოსი 85), კოსტულასი, დერმიცაკისი (ლაკისი 63), ლიმპეროპულოსი, სტოლტიდისი, მავროგენიდისი
1:0 ივან პერესი (65)

ფინალური შეხვედრა, როგორც მოსალოდნელი იყო, მეტად დაძაბული და ნაკლებად სასიამოვნო საყურებელი გამოდგა. ფეხბურთელები სიტუაციის გამწვავებას ერიდებოდნენ და უფრო მეტოქის შეცდომის იმედად იყვნენ. მთელი პირველი ნახევარი ასეთ ულიმღამო თამაშში გაილია და ალბათ გამარჯვებულის გამოვლენას არც მეორეში დაადგებოდა საშველი, რომ არა ბერძენთა გოლკიპერი ელეფტეროპულოსის მიუტევებელი შეცდომა. მეკარემ კუთხურიდან მოწოდებული ბურთი ელემენტარულად ხელში ვერ დაიჭირა და ტურნირის ერთ-თერთ საუკეთესო მოთამაშეს ივანნ პერესს მატჩის ერთადერთი გოლის გატანის საშუალება მისცა.

დარჩენილ დროში ბერნებმა გააფთრებით შეუტიეს. რამდენიმე თითქმის ასპროცენტიანი საგოლე მომენტიც შექმნეს, მაგრამ ესპანელთა დაცვას მაინც ვერაფერი დააკლეს.

**მატჩი მე-3 ადგილისათვის**
**ნორვეგია 2:0 ჰოლანდია**
1:0, 2:0 ივერსენი (17, 74)

**მატჩი მე-5 ადგილისათვის**
**შვედეთი 1:2 გერმანია**
0:1 ბრდარიჩი (70), 0:2 ფრინგსი (78), 1:2 ასლუნდი (88)

**მატჩი მე-7 ადგილისათვის**
**რუსეთი 2:1 რუმინეთი**
0:1 ტრიკა (45), 1:1 ოსინოვი (51), 2:1 ლაკტიონოვი (64)

დარჩა FRANCE 98 9 დღე

## ფუტიქსის დროშით

# იტალია მეკარეს კარგავს

### მალდინი კი ფინალში გასვლელად ამზადება

**ბოლო** ათი დღის განმავლობაში იტალიის ნაკრების გულშემატკივართა იმედიანი თვალები ფლორენციის მახლობლად მდებარე კოვერჩიანოსკენ იყო მიპყრობილი, სადაც მათი საყვარელი გუნდი წინასაჩემპიონატო შეკრებას გადის. საქმე კი ისაა, რომ 20 მაისს ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩში „იუვენტუსისა“ და „სკუადრა ატურას“ მთავარმა დამრტყმელმა ძალამ ალესანდრო დელ პიერომ ფეხის კუნთი დაიზიანა, რამაც ფეხბურთელის საფრანგეთში გამგზავრება მეტად საეჭვო გახადა. ხუთშაბათს აპენინელთა თაყვანისმცემლებმა შვებით ამოისუნთქეს, მას შემდეგ, რაც კოვერჩიანოში ნაკრების ხელმძღვანელების მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე გუნდის ექიმმა ანდრეა ფერეტიმ განაცხადა, დელ პიეროს მდგომარეობა უმჯობესდება და იგი მსოფლიოს ჩემპიონატზეც უჭველად ითამაშებსო. ცნობილ მედიკოსს ამის თქმის საბაბი თვით იუვეს თავდამსხმელმა მისცა, როდესაც საკმაოდ დამაჯერებლად ჩააბარა 22 საუკეთესოს შორის მოსახვედრად აუცილებელი სამედიცინო ტესტი. არადა, დელ პიერომ კარგად იცოდა, რომ ტესტის ჩაგდების შემთხვევაში საფრანგეთში ასპარეზობის იმედი ხელიდან გამოეცლებოდა.

— ბოლო ხანებში ფეხბურთელის მდგომარეობა საგრძნობლად გამოსწორდა და მარჯვენა ფეხის მიმყვანი კუნთი სულ მალე საერთოდ არ შეაწუხებს. მეტიც, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ — ალესანდროს დღეიდანვე შეუძლია მსუბუქად ვარჯიშს შეუდგეს. რამდენიმე დღის განმავლობაში მას ნაკრების ექიმების ყურადღება არ მოაკლდება, ხოლო შვედეთში გამგზავრებამდე კიდევ ერთი სამედიცინო ტესტის ჩაბარება მოუწევს და თუ მასაც წარმატებით გაივლის, დელ პიეროს საფრანგეთში წასვლის წინ ვერაფერი დაუდგება. ისე, შეგიძლიათ მშვიდად იყოთ, რადგან მისი ჯანმრთელობა სადღეისოდ დამაკმაყოფილებელია, ისეთი, როგორც ყველა ჩვენგანს სურს — დამსწრე ჟურნალისტები ოპტიმისტურად განაწყო ფერეტიმ.

2 ივნისს იტალიის ნაკრები შვედეთში, ამ ქვეყნის ეროვნულ გუნდთან გეგმავს ამხანაგური მატჩის ჩატარებას. ეს შეხვედრა ჩეზარე მალდინის ქვეშევრდომთათვის უკანასკნელი იქნება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში. შეგახსენებთ, რომ მწვრთნელს 22 საუკეთესოს დასახელება სკანდინაველებთან თამაშის დღეს მოუწევს, ვინაიდან ფიფა კარგა ხნის წინ გამოქვეყნებული დადგენილების თანახმად მონაწილეთა საბოლოო განაცხადებს ორი ივნისის შემდეგ აღარ მიიღებს. ჩეზარეს სხვა ფეხბურთელებთან ერთად შვედეთში პარმელი თავდამსხმელის, ენრიკო კიეზას წაყვანაც განუზრახავს, რომელიც, ალბათ, ერთადერთი კაცია, დელ პიეროს დროულად გამოჯანმრთელება რომ არ სურს, რადგან ამ შემთხვევაში ალესანდროს ადგილს ნაკრებში სწორედ კიეზას ანდობენ. თუმცა თავად დელ პიეროს ტრავმებზე საუბარი სულაც არ ხიბლავს და მომავალს იმედით შეჰყურ-ებს: „დაშავებული კუნთი წინა კვირასთან შედარებით უკეთ მაქვს, რაც კიდევ უფრო მმატებს თავდაჯერებულობას. არადა, ჩემპიონთა თასის ფინალური მატჩის შემდეგ საშინელ მდგომარეობაში ვიყავი — თასი მადრიდელებს გავატანეთ და მეც საფრანგეთში თამაში საეჭვო გამიხდა. თუმცა კარგია, რომ ყველაფერი წარსულს ჩაბარდა და ახლა მხოლოდ უკეთეს პერსპექტივაზე ვფიქრობ“ — განაცხადა ალესანდრომ.

ვარსკვლავებით გადაჭედილ იტალიის ნაკრებში სხვა ფეხბურთელებიც იპყრობენ ყურადღებას. თუ საფრანგეთში „სკუადრა ატურა“ ფინალში გაღწევას შეძლებს, გუნდის მცველი პაოლო მალდინი შეიქმნება ის მოთამაშე, რომელსაც ლეგენდარული მეკარის დინო ძოფის შემდეგ იტალიის ნაკრების შემადგენლობაში ყველაზე მეტი მატჩი ჩაუტარებია. 29 წლის პაოლოს დღემდე 87-ჯერ დაუცავს თავისი ქვეყნის ღირსება, ხოლო სამშაბათს შვედებთან დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრის ჩატარების შემდეგ იგი იმედოვნებს, რომ კაპიტნის სამკლაურით საფრანგეთში კიდევ ექვს მატჩში გაუძღვება თავისიანებს და ამ საუცხოო სერიას 12 ივლისს, ფინალში დაასრულებს.

პაოლოს მხოლოდ ტრავმა ან ფორმიდან ამოვარდნა (რაც მალდინისთვის სრულიად წარმოუდგენელია) თუ შეუშლის ხელს, 95-მდე გაზარდოს ნაკრებში ჩატარებული შეხვედრების რიცხვი და ერთით გაასწროს მილანის „ინტერის“ ლეგენდარულ მცველსა და 70-იან წლებში იტალიის ეროვნული გუნდის კაპიტანს ჯაჩინტო ფაკეტის.

ერთადერთი მოთამაშე, რომელსაც ამ მხრივ მართლაც ფენომენალური შედეგი აქვს, მეკარე დინო ძოფია. მისი მაჩვენებელი — 112 შეხვედრა ქვეყნის ნაკრებში, ალბათ, კიდევ კარგა ხანს მიუწვდომელი იქნება იტალიელი ფეხბურთელებისთვის. თუმცა, მალდინის თქმით, იგი მთელ ყურადღებას კარს მომდგარ მსოფლიოს ჩემპიონატს უთმობს და სარეკორდო ციფრებზე საერთოდ არ ფიქრობს.

— დინო ძოფის რეკორდამდე კიდევ ბევრი მიკლია და ამაზე ფიქრით თავს არ ვიღლი. მე უფრო უახლოეს გეგმებზე საუბარი მირჩევნია. ვიცი, გაინტერესებთ და არც დაგიმალავთ — ძალიან მსურს, დღეიდან მოყოლებული, შუაგულ ივლისამდე რვა თამაში ჩავატარო. ერთი ამხანაგური სტოკჰოლმში, ხოლო დანარჩენი შვიდი მსოფლიოს ჩემპიონატზე საფრანგეთში. მხოლოდ ამის შემდეგ მივცემ ჩემს თავს უფლებას, ძოფის რეკორდის დამხობაზე ვიფიქრო — უმცროს მალდინის, ეტყობა, 12 ივლისის ფინალურ შეხვედრაში მონაწილეობა ამოუჭრია გულში.

„მილანის“ შემადგენლობაში ხუთი სკუდეტოს, სამი ევროთასისა და იტალიის, ევროპისა თუ მსოფლიოს სუპერთასების მომგები მალდინი თექვსმეტი წლისა იყო, ქვეყნის ნაკრებში დებიუტი რომ ჰქონდა. ორივე ფეხით ერთნაირად წარმატებულად თამაშის გამორჩეულმა ნიჭმა ფეხბურთელი იდეალურ მცველად აქცია და იგი მსოფლიოს უმრისხანესი თავდამსხმელებისთვისაც კი გაუვალ ზღუდეს წარმოადგენდა. პაოლომ მთელი თავისი კარიერა „მილანში“ გაატარა და დღემდე ამ გუნდის შემადგენლობაში საკმაოდ ბევრი — ლიგის 360 მატჩი ითამაშა. მისი მიღწევები კიდევ უფრო დაუჯერებლად მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მალდინი ჯერ კიდევ 29 წლისაა.

საკლუბო დონეზე არაერთი ჯილდოს მოგების მიუხედავად, მანდილოსნების გულთამპყრობელ პაოლოს, ყველა ნორმალური ფეხბურთელის მსგავსად, მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების სურვილი ჰკლავს. 1990 წელს „სკუადრა ატურა“ შინ მესამე ადგილს დასჯერდა, ხოლო წინა ჩემპიონატზე ფინალურ მატჩში ბრაზილიელებთან წააგო. 1982 წელს იტალიელებმა მსოფლიოს თასი კი მოიგეს, მაგრამ მაშინ უმცროსი მალდინი სკოლის მოსწავლე იყო...

23 ივნისს საფრანგეთში ჯგუფური ტურნირის დასკვნით მატჩში იტალიის ნაკრები ავსტრიელებს შეხვდება. სამი დღის შემდეგ კი მთელი გუნდი პაოლოს დაბადების დღეს აღნიშნავს. 26 ივნისს სახელგანთქმულ მცველს ოცდაათი წელი უსრულდება.

— მახსოვს, აშშ-ს მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი 26 წლისთავი დიდი ზარზეიმით აღვნიშნეთ. ახლაც დიდი იმედი მაქვს, რომ ამ დღეს სწორედ საფრანგეთში შევხვდები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სულ მცირე პირველ ეტაპს წარმატებით გავივლით — ამბობს მალდინი, მაგრამ ყველამ იცის, რომ იგი კეკლუცობს. იტალიელები ხომ ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევიან და ნებისმიერ ასპარეზობაზე მათთვის მთავარ მიზანს მხოლოდ გამარჯვება წარმოადგენს.

კავერჩიანოდან იტალიელი გულშემატკივართათვის ერთი უსიამოვნო ამბავიც მოვიდა. საწვრთნელი თამაშის დროს ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ძირითადმა მეკარემ ანჯელო პერუციმ მარცხენა ფეხის მუხლი დაიზიანა და გუნდს გამოაკლდა.

— საშინლად გულდაწყვეტილი ვარ. ახლა ოთხი წელი უნდა ვუცადო მომდევნო მსოფლიოს ჩემპიონატს, რომელზეც კიდევ საკითხავია, ვითამაშებ თუ არა — განუცხადა დაშავებულმა პერუციმ ჟურნალისტებს.

— მისი ტრავმა ძალიან მძიმეა და ექიმებს არ შეუძლიათ, ჩემპიონატამდე დარჩენილ ათ დღეში ანჯელო ფეხზე დააყენონ — თქვა ნაკრების პრეს-ატაშე ანტონელო ვალენტინიმ. მან ისიც დაამატა, რომ დაშავებული პერუცის ადგილს, ალბათ, „ფიორენტინას“ მეკარე ფრანჩესკო ტოლდო დაიკავებს. საფრანგეთის მინდვრებზე ძირითად შემადგენლობაში კი „ინტერის“ ჯანლუკა პალიუკა ჩადგება კარში. „პალიუკა მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და დარწმუნებული ვარ, იგი მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრების წარმატებაში უდიდეს წვლილს შეიტანს“ — დასძინა პერუციმ.



რომარიომ შესაძლოა მეტოქე გუნდის მეკარეები ველარ დაამწუხროს

# ბრაზილია ურომარიოდ?

მაშინ, როცა საფრანგეთის ქალაქ ლა ფერიერში მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონთა მორიგი ვარჯიში მიმდინარეობს, პარიზიდან 25 კილომეტრში მდებარე ბრაზილიელთა რეზიდენციაში გუნდის ფიზიოთერაპევტი 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელ რომარიო ფარიასს კონსულტაციას უტარებს. საქმე ისაა, რომ 7 მაისს მიღებული ტრავმის შემდეგ მას სრული დატვირთვით არ უვარჯიშია და, შესაძლოა, 10 ივნისს შოტლანდიის ნაკრების წინააღმდეგ ვერ ითამაშოს. „ზუსტად არ ვიცი, რამდენად სერიოზულია რომარიოს ტრავმა, მე ექიმი არ ვარ. დანამდვილებით მის თამაშზე რაიმეს თქმა ჯერჯერობით ნაადრევია“ — განაცხადა ბრაზილიელთა თავკაცმა მარიო ზაგალომ. ეს სამხრეთამერიკელთათვის საკმაოდ რთული პრობლემაა და თუ ფეხბურთელი დროულად ვერ გამოჯანმრთელდება (როგორც ჩანს, ასეც იქნება), ერთადერთი გამოსავალი რომარიოს გუნდიდან გაშვება და მის ნაცვლად სხვა ფორვარდის მიწვევაა. თუ ასე მოხდა, არსებობს ორი ალტერნატიული კანდიდატურა — ბარსელონელი სონი ანდერსონი და მიუნხენის „ბაიერნის“ თავდამსხმელი ჯოვანი ელბერი. ბრაზილიის ნაკრების ექიმი ლიდიო ტოლედო პირველ ვარიანტს ემხრობა და მეტად ოპტიმისტურად არის განწყობილი: „ეჭვი არ მეპარება რომარიოს შესაძლებლობებში, იგი ყოველდღე ხუთი საათი მუშაობს თავის თავზე და თუ ყველაფერი კარგად აეწყო, აუცილებლად ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ჩემი აზრით, ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მოხდეს, რომარიოს პირველ ორ თამაშში არყოფნაა“.

ასევე ფიქრობს ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის თავკაცი რიკარდო ტექსეირა, რომლის რომარიოსადმი პატივისცემა და გულთბილი დამოკიდებულება საყოველთაოდ არის ცნობილი. მისი თქმით, წინა მსოფლიოს ჩემპიონატის გმირმა აუცილებლად უნდა ითამაშოს საფრანგეთში, რაც, უეჭველად, გუნდის წარმატების საწინდარი იქნება.

რაც შეეხება წარსულში სახელგანთქმულ ფეხბურთელს, ამჟამად მარიო ზაგალოს თანაშემწე ზიკოს, მას სრულიად განსხვავებული აზრი აქვს: „ჩვენ მოვლენათა განვითარებას დაველოდებით და საბოლოო გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მივიღებთ. თუ რომარიო 100 პროცენტით მზად არ იქნება, მაშინ მისი სხვა ფეხბურთელით შეცვლა მოგვიწევს. ჯერჯერობით კონკრეტულად მეტს ვერაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთს დავამატებ — არსებული პრობლემის უგულებელყოფა, თითქოს სანერვიულო არაფერია, მხოლოდ და მხოლოდ თავის მოტყუებაა“.

ერთი სიტყვით, სამხრეთ ამერიკელთა აზრი ორად გაიყო. რომარიოს მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა საეჭვოა. ბრაზილიელთა თავკაცების გადაწყვეტილებას სულ მალე შევიტყობთ, ხოლო თუ რას ფიქრობენ ყველაზე ტიტულოვანი ნაკრების გულშემატკივრები, ამის გამოცნობა ძნელი არ არის — რომარიომ უნდა ითამაშოს!

### ამხანაგური მატჩები

**აშშ 0:0 შოტლანდია**

**გერმანია 3:1 კოლუმბია**

**1:0, 2:0 ბირჰოფი (1, 16), 3:0 მიოლერი (46), 3:1 ვალდერამა (87პ)**

სამი დღით ადრე ფინელებთან სუსტად ჩატარებული მატჩის შემდეგ გერმანელებს თავიანთ ქომაგთა გულის მოგება სურდათ და პირველივე წუთიდან გააფთრებით ეკვეთნენ სტუმრებს. კოლუმბიელები ასეთ დასაწყისს არ ელოდნენ და ისე დაიბნენ, თავადაც აღარ იცოდნენ, რა ეკეთებინათ. მასპინძელთაგან განსაკუთრებით ჰესლერი აქტიურობდა. პირველ წუთზე ბირჰოფმა სწორედ ამ ნახევარმცველის ჩაწოდება გარდასახა გოლად. თხუთმეტიოდ წუთში კვლავ „უდინეზელმა“ იყოჩაღა, როცა ჰესლერის ყუმბარისებური დარტყმის შემდეგ ძელიდან ასხლეტილ ბურთს ყველაზე ადრე მიუსწრო. კოლუმბიელებმა ორბურთიანი ჩამორჩენა ტაიმის ბოლომდე შეინარჩუნეს და შესვენებაზე იმ იმედით წავიდნენ, ეგებ მეორე ნახევარში რამე გავახერხოო, მაგრამ თამაშის განახლებისთანავე ანდრეას მიოლერმა მესამე გოლი შეაგდო და შეხვედრის ბედი გადაწყვიტა.

# გულნატკენი არც ბალბო დარჩება

არგენტინის ნაკრებისა და იტალიის „რომას“ თავდამსხმელი აბელ ბალბო მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებს. ეს მაშინ გახდა ცნობილი, როცა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონების მთავარმა მწვრთნელმა დანიელ პასარელამ ვეტერან ფეხბურთელს ნაკრების წინასასაფრანგეთო შეკრებაზე უხმო. 32 წლის ბალბო ბოლო წლების განმავლობაში რომაულ კლუბში ბრწყინვალედ თამაშობდა და უპირველესი ბომბარდირის სახელიც დაიგდო. ამ სეზონში კი არგენტინელი აპენინის ნახევარკუნძულზე მოთამაშე საუკეთესო უცხოელი მეგოლე შეიქნა, მას შემდეგ, რაც გატანილი გოლების რაოდენობით ლეგენდარულ ჰოლანდიელ მარკო ვან ბასტენს გადაასწრო.


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია

**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული

**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე

**ფეხბურთის განყოფილება:** ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე

**სხვა სახეობათა განყოფილება:** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე

**კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე

**ფოტორეპორტიორები:** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე

**სტილისტები:** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

**კომპიუტერული ცენტრი:** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი

**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29